სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
დიზაინის ფაკულტეტი

ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი
საკონკურსო პირობები

პოზიციის დასახელება :
საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება - პროფესორი;

ადგილების რაოდენობა : 1

- შრომითი ხელშეკრულების კატეგორია აკადემიური თანამდებობის პირთან (A, B ან C) დამოკიდებულია სამუშაო დატვირთვაზე, ჯგუფების ოდენობასა და სხვა ფაქტორებზე. აკადემიური თანამდებობის პირის სამუშაო დატვირთვის ცვლილება განაპირობებს შრომითი ხელშეკრულების კატეგორიის ცვლილებასაც, რაც შესაძლოა განხორციელდეს ყოველი სასწავლო სემესტრისათვის, აკადემიური თანამდებობის არჩევითი ვადის განმავლობაში.

სამუშაოს მოკლე აღწერილობა :
- დარგის მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება/ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება/ ხელმძღვანელობა, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა, განათლების საექსპერტო კომისიებში მუშაობის გამოცდილება, თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით სწავლების მეთოდიკის შემუშავება, დარგის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი მუშაობა
- სამეცნიერო და სასწავლო მეთოდოლოგიური ნაშრომები, დარგის მიმართულებით დიზაინ-განათლების კონცეფცია, რეკომენდაციები და ა.შ. საგანმანათლებლო საქმიანობის პარალელურად საერთაშორისო და ადგილობრივი საგანმანათლებლო-შემოქმედებითი პროექტებისა და პროგრამების შემუშავება, ინიცირება/ხელმძღვანელობა/აქტიურად მონაწილეობა, მათ შორის : სემინარები, მასტერკლასები, ვორქშოფები, გამოფენები და სხვ.

პროფესორი უზრუნველყოფს
- აქტიურად მონაწილეობს თსსა აკადემიის საგანმანათლებლო რეფორმირების კონცეფციის შემუშავებასა და განვითარებაში.
- უზრუნველყოფს დარგის განვითარებისათვის ღირებულ საქმიანობას - საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებასა და მიმდინარე პროგრამის ახალი დისციპლინებით (არჩევითი/სავალდებულო საგნებით) გამდიდრებას

- ხელმძღვანელობს სტუდენტების კვლევით ან/და სახელოვნებო/შემოქმედებით მუშაობას.
- უზრუნველყოფს დარგის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი მუშაობას - აქვეყნებს კვლევით სამეცნიერო ნაშრომებს, მათ შორის სასწავლო მეთოდოლოგიურს, იღებს მონაწილეობას საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციაში, კონკურსებში, პროექტებში და სხვ.
- მიმართულების ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოფს გრანტების მოძიებას, არის ინიციატორი საგანმნათლებლო და შემოქმედებითი პროექტების, ვორქშოფების, მასტერკლასების, ტრეინიგების, სფეროს წარმომადგენლებთან კავშირების მოძიებისა და ტანამშრომლობის (სახელმწიფო, ბიზნესი და შემოქმედებითი სექტორი) და სხვ.
- უზრუნველყოფს საგამანანთლებლო პროგრამების მდგრად, სტაბილურ, ეფექტური ფუნქციონირებასა და სტუდენტების მიერ სწავლის შედეგების მიღწევა.

მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები :

- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მინიმუმ 8 (რვა) წლის პედაგოგიური მუშობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- თანხმობა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასთან აფილირების შესახებ
- სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლებოის არ არსებობა;
- სასამართლოს მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლების ჩამორთმევის არ არსებობა.
- პერსონალური ინფორმაციის დამუშავების თაობაზე თანხმობა.

ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნები :

- **წოდებრივი სტატუსი** -აკადემიური და/ან სამეცნიერო ხარისხი, წოდებრივი სტატუსი ან/და ჯილდო, სერთიფიკატი და სხვ. რომელიც დაკავშირებულია დარგის საქმიანობასთან, სასწავლო პროცესთან ან/და საგანმანათლებლო-შემოქმედებით საქმიანობასთან. დამადასტურებელი დოკუმენტი აკადემიური და/ან სამეცნიერო ხარისხის, რედკოლეგიის წევრობის და სხვ. ფაქტორის, რომელიც დაკავშირებულია კანდიდატის სამეცნიერო/ კვლევით საქმიანობასთან
- **სამეცნიერო/ კვლევითი მუშაობა** - დარგის განვითარების კონცეფცია (დიზაინ-განათლება); მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში ; დარგის მიმართულებით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები რეფერირებად ჟურნალებში, პუბლიკაციებიში ან/და ონლაინ ჟურნალებში; გამოქვეყნება მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს ან/და წიგნის და სხვ. (სამეცნიერო-კვლევითი ან/და სასწავლო-მეთოდური მუშაობის შესახებ დამადასტურებელი ცნობა)
- **შემოქმედებითი მუშაობა** - მონაწილეობა/ინიცირება/ხელმძღვანელობა ადგილობრივი და საერთაშორისო საგანმათლებლო-შემოქმედებითი პროექტებსა და პროგრამებში;

გამოფენები და ა.შ. პრაქტიკაში წარმატებული მეთოდური სამუშაოები ; ადგილობრივ და საერთაშორისო პლატფორმებზე საკუთარი შემოქმედების გაზიარება

- **პედაგოგიური საქმიანობა** -კანდიდატის ავტორობით შემუშავებული საგანმანათლებლო, მათშორის აკრედიტებული პროგრამები (საბაკალავრო ან/და სამაგისტრო).
  საგანამნათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობა-განხორციელება; სასწავლო პროგრამების განვითრების სტრატეგიის განსაზღვარა - შემუშავება და სილაბუსებისა და პროგრამების ეფექტურად განხორციელების უნარი; ადგილობრივ და საერთაშორისო პლატფორმებზე პრაქტიკული საქმიანობის მნიშვნელოვანი გამოცდილება.
- **პორტფოლიო** - მონაწილეობა, ინიცირება ან/და ხელმძღვანელობა საერთაშორისო და ადგილობრივ საგანმანთლებლო-შემოქმედებით პროექტებსა და პროგრამებში, მათ შორის : სემინარები, გამოფენები, მასტერკლასები, ვორქშოფები და სხვ. (დარგში ღირებული საქმიანობისა და შემოქმედებითი საქმიანობის დოკუმენტირებული მასალა)

კონკურსში მონაწილეობისთვის წარმოსადგენი დოკუმენტები :

- განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ
- რეზიუმე ან CV
- პირადობის მოწმობის ასლი
- ორი ფოტოსურათი (3X4)
- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 8 (რვა) წლიანი პედაგოგიური საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- თსსა–სთან აფილირების შესახებ წერილობითი თანხმობა;
- ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის არ არსებობის შესახებ;
- ცნობა სასამართლოს მიერ საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლების ჩამორთმევის არ არსებობის შესახებ;
- პერსონალური ინფორმაციის დამუშავების თაობაზე თანხმობა;
- ასევე, განმცხადებელმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს მის მიერ მინიმალური და ძირითადი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი სათანადო მტკიცბულებები/დოკუმენტები.

განცხადების ფორმა:

- განცხადება შევსებული უნდა იქნას კონკრეტურლი აკადემიური თანამდებობისათვის დადგენილი ფორმის შესაბამისად. ასევე წარმოდგენილი უნდა იქნას მოთხოვნით გათვალისწინებული აუცილებელი დოკუმენტაცია.
- განცხადებას უნდა დაერთოს დანართი 1, სადაც მოცემული იქნება ყველა ცნობა, დოკუმენტი, ნაშრომი თუ სტატია, რომელიც წარმოადგენს კანდიდატის კვალიფიკაციის დამადასტურებელი გარემოების თუ ფაქტის მტკიცებულებას. დანართი უნდა დაინომროს უწყვეტად და განაცხადი უნდა შეიცავდეს მითითებას ამ ნუმერაციაზე.
- თუ მტკიცებულებად წარმოდგენილია ალბომი, წიგნი, აფიშა ან სხვა სახის მოცულობითი დოკუმენტი, რომელიც ვერ გახდება განაცხადის დანართი 1-ის შემადგენელი ნაწილი, ის უნდა განისაზღვროს როგორც დანართი 2.

- ნებისმიერი ინფორმაცია, წარმოდგენილი ელექტრონული სახით უნდა იქნას წარმოდგენილი რაიმე ელექტრონული ინფორმაციის მატარებლით, და თუ ის შეიცავს დანართში მითითებული სხვადასხვა ფაქტის თუ გარემოების მტკიცებულებას, ინფორმაცია უნდა განთავსდეს ციფრულ საქაღალდეებში და დაინომროს როგორც ციფრული დანართი.
- განცხადების ყველა დანართი მოთავსებული უნდა იყოს დალუქულ კონვერტში (თუ კონვერთში შეუძლებელია მათი მოთავსება, მაშინ შესაბამისი ზომის და ფორმის პაკეტში ან კონტეინერში), რომელზეც მიტითებული უნდა იყოს განმცხადებლის სახელი გვარი, დანართის ნომერი (დანართი 1/ დანართი 2) და განმცხადებლის ხელმოწერა.